ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1458089

ნომერი: AR1245129

თარიღი : 18.08.2014

გაცემის თარიღი : 02.09.2014

გაცნობის თარიღი : 02.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზია კაშია პ/ნ 01008001189
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ.#64-ში / ქ. თბილისი, ილია

ჭავჭავაძის გამზ. #66-ის მიმდებარედ (ნაკვ. #2/14)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/18)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/19)/ ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/24)/ ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/25) სამსახურის მიერ 2013 წლის 19 მარტის №595482 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მოქ. ლაშა პაპაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი#01.14.11.002.035) მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მიწისქვეშა ავტოსადგომების („ა" ბლოკი) მშენებლობისათვის.

თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული. ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR1115219 განაცხადის ნომერი.

თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში.

თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითებთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.